Tax Info

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კარმენ“

(ს/ნ 234238296)

02 ოქტომბერი 2023

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 9

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 11-25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტაქს ინფო“ (SARAS-F-822418)
KING DAVID ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. N12,
0193 თბილისი, საქართველო

TaxInfo Llc. (SARAS-F-822418)
King David – Business Center, M.Aleksidze Str. N12,
0193 Tbilisi, Georgia

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს - „კარმენ“-ის (შემდგომში - კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, აუდიტორული დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს 2015“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარით მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვინაიდან ჩვენ კომპანიის აუდიტორად დავინიშნეთ 2023 წლის 14 აგვისტოს. კომპანიის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება მარაგების რაოდენობასა და მათ ხარისხობრივ მდგომარეობასთან

დაკავშირებით, რომლებიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია - 2 146 125 ლარის ღირებულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგების ნაშთთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს 2015“) შესაბამისად, ხოლო ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია აუდიტირებული დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2022 წლის წლიურ მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („მსს ფასს 2015“) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს ჩვენს მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას,

გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით , თბილისი, საქართველო

02 ოქტომბერი 2023

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამის აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი არის გრიგოლ ნოზაძე.

გრიგოლ ნოზაძე

შპს „ტაქს ინფო“-ს სახელით , თბილისი, საქართველო

02 ოქტომბერი 2023

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ. N	2022	2021
		₾'000	**₾'000**
შემოსავალი	5	36,813	52,494
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(34,278)	(46,722)
საერთო მოგება		**2,534**	**5,772**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(1,086)	(1,193)
სხვა საოპერაციო ხარჯი	8	(68)	(1,399)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**(1,154)**	**(2,592)**
ფინანსური შემოსავალი	9	162	301
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		-	(124)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(2,029)	(512)
მოგება მოგების გადასახადის დაბეგვრამდე		**(486)**	**2,845**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**(486)**	**2,845**
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
მოგების გადასახადის ეფექტი		-	-
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში, წმინდა		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**(486)**	**2,845**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 31 მარტს.

_____ /ზაზა ჯაფარიძე/ _____/ინგა ბალიაშვილი/

დირექტორი მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფიანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ. N	2022	2021
		₾'000	₾'000
შემოსავალი	5	36,813	52,494
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(34,278)	(46,722)
საერთო მოგება		**2,534**	**5,772**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(1,086)	(1,193)
სხვა საოპერაციო ხარჯი	8	(68)	(1,399)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**(1,154)**	**(2,592)**
ფინანსური შემოსავალი	9	162	301
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		-	(124)
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(2,029)	(512)
მოგება მოგების გადასახადის დაბეგვრამდე		**(486)**	**2,845**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**(486)**	**2,845**
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
მოგების გადასახადის ეფექტი		-	-
სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში, წმინდა		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**(486)**	**2,845**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 31 მარტს.

_____ /ზაზა ჯაფარიძე/

დირექტორი

_____ /ინგა ბალიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფიანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენ.N	31-12-22	31-12-21	01-01-21
		₾'000	₾'000	₾'000
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	**10**	6,033	6,333	6,795
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,033**	**6,333**	**6,795**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	**11**	2,146	15,340	18,868
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**12**	291	482	535
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		4	3,347	9,546
წინასწარ გადახდილი გადასახადები	**13**	-	-	1,657
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**14**	16,814	292	374
სულ მიმდინარე აქტივები		**19,255**	**19,462**	**30,980**
სულ აქტივები		**25,288**	**25,795**	**37,775**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		18	18	18
გაუნაწილებელი მოგება		24,300	24,786	21,941
სულ კაპიტალი		**24,317**	**24,804**	**21,958**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები		-	-	-
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები		-	-	-
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**-**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები და კრედიტები		-	14	8,324
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**15**	226	477	7,493
საგადასახადო დავალიანებები		744	500	-
მიმდინარე ვალდებულებები		**971**	**991**	**15,817**
სულ ვალდებულებები		**971**	**991**	**15,817**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**25,288**	**25,795**	**37,775**

_____ /ზაზა ჯაფარიძე/ _____/ინგა ბალიაშვილი/

დირექტორი მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფიანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენ.N	31-12-22	31-12-21	01-01-21
		₾'000	₾'000	₾'000
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	6,033	6,333	6,795
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,033**	**6,333**	**6,795**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	11	2,146	15,340	18,868
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	291	482	535
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები		4	3,347	9,546
წინასწარ გადახდილი გადასახადები	13	-	-	1,657
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	16,814	292	374
სულ მიმდინარე აქტივები		**19,255**	**19,462**	**30,980**
სულ აქტივები		**25,288**	**25,795**	**37,775**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		18	18	18
გაუნაწილებელი მოგება		24,300	24,786	21,941
სულ კაპიტალი		**24,317**	**24,804**	**21,958**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები		-	-	-
რესტრუქტურიზებული ვალდებულებები		-	-	-
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**-**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები და კრედიტები		-	14	8,324
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	226	477	7,493
საგადასახადო დავალიანებები		744	500	-
მიმდინარე ვალდებულებები		**971**	**991**	**15,817**
სულ ვალდებულებები		**971**	**991**	**15,817**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**25,288**	**25,795**	**37,775**

/ზაზა ჯაფარიძე/

დირექტორი

/ინგა ბალიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფიანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**18**	**21,941**	**-**	**21,958**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**18**	**21,941**	**-**	**21,958**
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		-	2,845	-	**2,845**
დივიდენდები		-	-	-	**-**
კაპიტალის შემცირება		-	-	-	**-**
დაუფარავი ზარალის გაუქმება		-	-	-	**-**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**18**	**24,786**	**-**	**24,804**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**18**	**24,786**	**-**	**24,804**
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		-	(486)	-	**(486)**
დივიდენდები		-	-	-	**-**
კაპიტალის შემცირება		-	-	-	**-**
დაუფარავი ზარალის გაუქმება		-	-	-	**-**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**18**	**24,300**	**-**	**24,317**

_____ /ზაზა ჯაფარიძე/ _____/ინგა ბალიაშვილი/

დირექტორი მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფიანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**18**	**21,941**	**-**	**21,958**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**18**	**21,941**	**-**	**21,958**
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		-	2,845	-	**2,845**
დივიდენდები		-	-	-	-
კაპიტალის შემცირება		-	-	-	-
დაუფარავი ზარალის გაუქმება		-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**18**	**24,786**	**-**	**24,804**
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**18**	**24,786**	**-**	**24,804**
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		-	(486)	-	**(486)**
დივიდენდები		-	-	-	-
კაპიტალის შემცირება		-	-	-	-
დაუფარავი ზარალის გაუქმება		-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**18**	**24,300**	**-**	**24,317**

/ზაზა ჯაფარიძე/

დირექტორი

/ინგა ბალიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31-12-22	31-12-21
	₾'000	₾'000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	43,569	60,439
მიღებული სხვა ფულადი სახსრები	0	1,703
შეცდომით ჩარიცხული ფულადი სახსრების უკან დაბრუნება	721	2,820
სულ შემოსული თანხები	**44,290**	**64,962**
ხარჯები:		
ნედლეულის მომწოდებლისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(20,040)	(50,159)
დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(870)	(857)
გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები (გარდა მოგების გადასახადისა)	(5,287)	(4,928)
ბანკის საკომისიო	(1)	(7)
ფულადი სახსრების უკან დაბრუნება	(3)	(1)
სხვა ხარჯები	(51)	(65)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(26,252)**	**(56,017)**
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	**18,038**	**8,945**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2)	(1)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(2)**	**(1)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
მიღებული სესხი	-	6,165
მიღებული სესხის პროცენტი	162	136
სესხის დაბრუნება	-	(14,559)
გადახდილი სესხის პროცენტები	(56)	(112)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	**106**	**(8,371)**
სავალუტე კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახრებსა და მათ ექვივალენტებზე	(1,619)	(656)
ფული პერიოდის დასაწყისში	**292**	**374**
ფული პერიოდის ბოლოს	**16,814**	**292**
სხვაობა	**(16,522)**	**82**

_____ /ზაზა ჯაფარიძე/ _____/ინგა ბალიაშვილი/

დირექტორი მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31-12-22 ₾'000	31-12-21 ₾'000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	43,569	60,439
მიღებული სხვა ფულადი სახსრები	0	1,703
შეცდომით ჩარიცხული ფულადი სახსრების უკან დაბრუნება	721	2,820
სულ შემოსული თანხები	**44,290**	**64,962**
ხარჯები:		
ნედლეულის მომწოდებლისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(20,040)	(50,159)
დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(870)	(857)
გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები (გარდა მოგების გადასახადისა)	(5,287)	(4,928)
ბანკის საკომისიო	(1)	(7)
ფულადი სახსრების უკან დაბრუნება	(3)	(1)
სხვა ხარჯები	(51)	(65)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(26,252)**	**(56,017)**
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	**18,038**	**8,945**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2)	(1)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(2)**	**(1)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
მიღებული სესხი	-	6,165
მიღებული სესხის პროცენტი	162	136
სესხის დაბრუნება	-	(14,559)
გადახდილი სესხის პროცენტები	(56)	(112)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	**106**	**(8,371)**
სავალუტე კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახრებსა და მათ ექვივალენტებზე	(1,619)	(656)
ფული პერიოდის დასაწყისში	**292**	**374**
ფული პერიოდის ბოლოს	**16,814**	**292**
სხვაობა	**(16,522)**	**82**

/ზაზა ჯაფარიძე/

დირექტორი

/ინგა ბალიაშვილი/

მთავარი ბუღალტერი

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „კარმენ“-ი (შემდგომში - კომპანია) არის 2007 წლის 07 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, გორი, შინდისის გზატკეცილი N25.

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფქვილის წარმოება.

კომპანიის პარტნიორი	*31.დეკ.22*	*31.დეკ.21*	*01.იან.20*
ტალეხ გასიმოვი (P4387365)	100%	100%	100%
სულ:	100.00%	100.00%	100.00%

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი არის - ზაზა ჯაფარიძე (პ/ნ 59001035561)

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („მსს ფასს 2015“) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორების მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

(ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში,საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
(ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
(ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები; დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცვეთის თანხის ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე თანაბრად განაწილებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- შენობა-ნაგებობები 30 – 50 წელი;
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5 – 10 წელი;
- მანქანა დანადგარები 5 – 10 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 5 – 10 წელი;
- ძალოვანი დანადგარები 5 - 10 წელი

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუიმ ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

(ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამეტერიალური აქტივის აღირებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

(ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
(ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და
(გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

(ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და

(ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;

ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები

3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

(ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;

(ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; ან

(გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);

ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

(ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. კომპანია ლიკვიდაციას ან მისი საქმიანობის რაიმე სახით შეკვეცას არ გეგმავს.
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს 18 284 ლარით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული თანაფარდობა უზრუნველყოფს კომპანიის აუცილებელ ლიკვიდურობას, ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებისათვის 2023 წლის შემდგომ პერიოდშიც.

5. შემოსავალი

	2022	2021
	₾'000	₾'000
შემოსვალი საქონლის რეალიზაციიდან	36,672	52,395
შემოსავალი მომსახურებიდან	141	99
სულ შემოსავალი	**36,813**	**52,494**

* საქონლის რეალიზაციის თანხები სრულად ფორმირდება ფქვილის, ქატოს და ხორბლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისგან.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება *

	2022	2021
	₾'000	₾'000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	34,278	46,722
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**34,278**	**46,722**

* რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მზა პროდუქციის (ფქვილის/ქატოს) დამზადების ხარჯს, ასევე შეძენილი საქონლისა და დამხმარე მასალების თვითღირებულებას, რომელთა რეალიზაციაც მოხდა საანგარიშო პერიოდში.

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2022	2021
	₾'000	₾'000
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	388	295
ცვეთა და ამორტიზაცია	303	476
სასამართლო ხარჯი	126	91
ტრანსპორტირების და მიწოდების ხარჯი	98	116
სხვა საოპერაციო ხარჯი	80	126
საკონსულტაციო ხარჯი	65	64
რემონტის ხარჯები	17	16
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	9	9
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	**1,086**	**1,193**

8. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2022	2021
	ლარი'000	ლარი'000
საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხული გადასახადები	-	1,393
სხვა საოპერაციო ხარჯები	51	-
საეჭვო მოთოვნების რეზერვი	17	6
სხვა საოპერაციო ხარჯი	**68**	**1,399**

*კომპანიას 2021 წელს საგადასახადო შემოწმების აქტით დამატებით დაერიცხა საგადასახადო ვალდებულებები (გადასახადები და სანქცია/საურავები). აღნიშნული საგასახადო ვალდებულებები არ წარმოადგენენ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებას, რადგან კომპანიას ხსენებული საგადასახადო ვალდებულებების თანხები გასაჩივრებული აქვს.

9. ფინანსური შემოსავლები *

	2022	2021
	₾'000	₾'000
საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან	162	136
სხვა ფინანსური შემოსავლები	0	165
ფინანსური შემოსავლები	**162**	**301**

* კომპანიის ფინანსური შემოსავლები მთლიანად არის ფორმირებული საბანკო ინსტიტუტებში უვადო და/ან მოკლევადიანი დეპოზიტების განთავსებით მიღებული პროცენტის თანხებიდან.

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშალებები	ძალოვანი დანადგარები	სულ
	₾'000	₾'000	₾'000	₾'000	₾'000	₾'000	₾'000
ისტორიული ღირებულება							
01.01.2021	508	6,562	198	5,266	241	213	**12,987**
შემოსვლა	-	1	0	13	-	-	**14**
გასვლა	-	-	-	-	-	-	**-**
გადაცემები							
ისტორიული ღირებულება 31.12.2021	**508**	**6,562**	**198**	**5,279**	**241**	**213**	**13,001**
ისტორიული ღირებულება							
01.01.2022	508	6,562	198	5,279	241	213	**13,001**
შემოსვლა	-	-	3	-	-	-	**3**
გასვლა	-	-	-	-	-	-	**-**
გადაცემები							**-**
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	**508**	**6,562**	**200**	**5,279**	**241**	**213**	**13,004**
ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021	-	(1,279)	(134)	(4,326)	(241)	(213)	**(6,193)**
ცვეთა	-	(130)	(6)	(340)	-	(0)	**(476)**
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა							**-**
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	**-**	**(1,409)**	**(140)**	**(4,666)**	**(241)**	**(213)**	**(6,668)**
დაგრივილი ცვეთა 01.01.2022		(1,409)	(140)	(4,666)	(241)	(213)	**(6,668)**
ცვეთა	-	(130)	(5)	(168)	-	(0)	**(303)**
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა							**-**
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	**-**	**(1,539)**	**(145)**	**(4,834)**	**(241)**	**(213)**	**(6,971)**
საბალანსო ღირებულება							
საბალანსო ღირებულება 01.01.2021	**508**	**5,282**	**64**	**940**	**0**	**0**	**6,795**
საბალანსო ღირებულება 31.12.2021	**508**	**5,153**	**58**	**613**	**0**	**0**	**6,333**
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	**508**	**5,023**	**56**	**445**	**0**	**0**	**6,033**

10.1. აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებების შეფასებას კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალების თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მეთოდი) (იხ. დანართი N3/2 - ძირითადი საშუალებები);

10.2. ძირითადი საშუალებები გარდა (უძრავი ქონებისა), ისევე როგორც საზოგადოების მთელი მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე დატვირთულია საქართველოს ბანკის სასარგებლოდ გირავნობა/ლიზინგის უფლებით (საკრედიტო ხაზით გაცემული/გასაცემი ფულადი სახსრების უზრუნველსაყოფად);

10.3. კომპანიის უძრავ ქონებას მიმდინარე დავის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სასამართლო განჩინების საფუძველზე ადევს რეალიზაციის აკრძალვა.

10.4. ძირითადი საშუალებების ნაწილთან დაკავშირებით (საალანსო ღრებულება 5 846 948 ₾) კომპანიას მიმდინარე თარიღის მდგომარეობით აქვს დავა მესამე პირის წინააღმდეგ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დავა გადაწყვიტეს კომპანიის სასარგებლოდ.

11. მარაგები *

	31-12-22	31-12-21	01-01-21
	₾'000	₾'000	₾'000
ნედლეული და მასალები	959	12,696	17,553
მზა პროდუქცია	1,033	-	768
სხვა მარაგები	154	2,644	547
	-	-	
მარაგები	**2,146**	**15,340**	**18,868**

* ძირითადი საშუალებები გარდა (უძრავი ქონებისა), ისევე როგორც საზოგადოების მთელი მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე დატვირთულია საქართველოს ბანკის სასარგებლოდ გირავნობა/ლიზინგის უფლებით (საკრედიტო ხაზით გაცემული/გასაცემი ფულადი სახსრების უზრუნველსაყოფად).

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-22	31-12-21	01-01-21
	₾'000	₾'000	₾'000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	3,500	3,677	3,607
მოთხოვნა სახელმწიფო სუფსიდიაზე	-	-	116
საეჭვო მოთხოვნების რეზერვები	(3,210)	(3,195)	(3,188)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**291**	**482**	**535**

13. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	31-12-22	31-12-21	01-01-21
	₾'000	₾'000	₾'000
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-	1,717
არაღიარებული საგადასახადო ვალდებულება	-	-	(60)
	-	-	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	**-**	**-**	**1,657**

14. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-12-22	31-12-21	01-01-21
	₾'000	₾'000	₾'000
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	16,782	281	363
ნაღდი ფული სალაროში	33	11	11
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**16,814**	**292**	**374**

15. სავაჭრო და სხვა ვალდებლებები

	31-12-22	31-12-21	01-01-21
	₾'000	₾'000	₾'000
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	130	334	7,323
მიღებული ავანსები	96	143	131
გადასახდელი პროცენტები	-	-	39
გადასახდელი ხელფასები	-	-	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**226**	**477**	**7,493**

დამფუძნებლის წინაშე კომპანიის ვალდებულება ძირითადი ნაწილი წარმოშობილია კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებით საწესდებო კაპიტალის შემცირებასთან დაკავშირებით, რომლის ნაწილიც კომპანიის პარტნიორს ჯერ კიდევ არ გაუტანია.

16. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობის საღრიცხვო დაშვებები, მსჯელობები და შეფასებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და განხილულია სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით, თუმცა აღნიშნული შეფასებები შეიძლება განსხვავებული იყოს რეალური შედეგებისგან:

ძირითადი საშუალებების შეფასება

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა შეფასებული კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლებიც დარწმუნებულები არიან რომ ეს შეფასება არ განსხვავდება ამ ძირითადი საშუალებების რეალური მომსახურების ვადებისგან. რეალური მომსახურების ვადების შეფასებისაგან გასხვავებულობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგება არსებითად განსხვავებული იქნება.

17. ხელმძღვანელი პირების კომპენსაციები

საწარმოს დირექტორის - ზაზა ჯაფარიძის ხელფასი შეადგენს:

2022 – 39 581.00 ლარი

2021 – 35.547.00 ლარი

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

ფაქტები კომპანიის შესახებ

საწარმოს დასახელება:	შპს კარმენ
რეგისტრაციის თარიღი:	07 სექტემბერი 2009
საწარმოს იურიდიული/ფაქტ. მისამართი:	საქართველო, გორი, შინდისის გზატკეცილი N25
დაქირავებულ პირთა რაოდენობა:	95
დარგი:	ფქვილის/ქატოს წარმოება
მთლიანი აქტივების ღირებულება:	25 მილიონზე მეტი
საწარმოს პარტნიორი (100%-იანი წილი):	ტალეხ გასიმოვი
საწარმოს დირექტორი:	ზაზა ჯაფარიძე

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კარმენ“-ი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფქვილის მწარმოებელ საწარმოს საქართველოში. საწარმოს რეალიზაციამ 2022 წელს 36 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც 29.76%-ით მცირეა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

რეალიზაცია, 2021 წელი (ათასი) ლარი	რეალიზაცია, 2022 წელი (ათასი) ლარი	პროცენტული ზრდა (კლება) წინა წელთან %
52 494	36 867	-29.76%

გაყიდვების უდიდესი ნაწილი მოდის ფქვილის, ქატოს და ხორბლის რეალიზაციაზე, ხოლო გაყიდვების მცირე ნაწილი ფორმირდება სხვადასხვა სახის მომსახურების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებით:

რეალიზაცია, 2021 წელი (ათასი) ლარი	რეალიზაცია, 2023 წელი (ათასი) ლარი	რეალიზებული საქონელი/მომსახურება
52 395	36 672	ფქვილი, ქატო,ხორბალი
99	194	სხვა შემოსავალი

2022 წელს საწარმოს მთლიანი აქტივების ღირებულება შეადგენს 25 351 ათასი ლარს.

საწარმოში 2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა - 87 ადამიანი.

პერსონალი, 2021 წელი ადამიანი	პერსონალი, 2022 წელი ადამიანი
89	87

საწარმოში 2022 წელს საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 686 ლარს.

საშუალო ხელფასი, 2018 წელი ლარი	საშუალო ხელფასი, 2019 წელი ლარი
1010	686

საწარმო წარმოადგენს მნიშვნელოვან კონტრიბუტორს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ:

გადახდილი გადასახადები, 2021 წელი (ათასი) ლარი	გადახდილი გადასახადები, 2022 წელი (ათასი) ლარი
4 901	5 262

ფინანსური ანგარიშგება

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის (IFRS for SMEs) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მზადდება არაუმცირეს წელიწადში ერთხელ, რომლის აუდიტირება ხდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელი არის საბუღალტრო/საფინანსო სამსახური.

..... შიდა კონტროლის მექანიზმები

საწარმოში კონტროლი ხორციელდება რამოდენიმე სხვადასხვა ეტაპზე, რაც მინიმუმამდე ამცირებს ფინანსურ ანგარიშგებაში განზრახ, თუ უნებლიე შეცდომის დაშვების რიკს:

1) საწარმოში განხორციელებული ყოველდღიური სამეურნეო ოპერაციები, კონტროლდება და აღირიცხება საწარმოს ფინანსური/საბუღალტრო ჯგუფის მიერ;

2) საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებების დამუშავებული და აღრიცხული ფინანსური მაჩვენებლები კიდევ ერთხელ მოწმდება და კონტროლდება საწარმოს შიდა აუდიტორის მიერ ყოველთვიურად;

3) საწარმოს საფინანსო/საბუღალტრო განყოფილებისა და შიდა აუდიტორის მიერ შედგენილი წლის ფინანსური ანგარიშგება მოწმდება და მტკიცდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ;

4) თავის მხრივ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება კიდევ ერთ კონტროლს გადის საწარმოს პარტნიორთა კრებაზე;

5) 1-4 პუნქტებში ჩამოთვლილი პროცედურობის გამართულობა პერიოდულად მოწმდება საწარმოს უფლებამოსილი პირების მიერ.

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

საწარმოს მიზანია მინიმუმამდე შეამციროს მისი ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ამ მიზნის მისაღწევად, საწარმოო ნარჩენების გონივრული მენეჯმენტის კუთხით საწარმოს მიერ მუდმივად ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. 2022-2023 წელს გარემოსდაცვითი საკითხები საწარმოს ერთ-ერთ მთავარ რჩება.

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია 01 აპრილი 2023

შპს „კარმენ“-ის დირექტორი

მმართველობითი ანგარიში დამტკიცებულია 01 აპრილი 2023

შპს „კარმენ"-ის დირექტორი